



კურტი ვონეგუტი

სასაკლავო 5

ანუ ბავშვთა ჯვაროსნული ლაშქრობა

სავალდებულო ცეკვა სიკვდილთან

დიდგენეს
ბიბლიოთეკა

კურტ ვონეგუტი
სასაქლაო 5
ანუ ბავშვთა ჯვაროსნული ლაშქრობა
სავალდებულო ცეკვა სიკვდილთან

Kurt Vonnegut
SLAUGHTERHOUSE-FIVE
OR THE CHILDREN'S CRUSADE
A DUTY-DANCE WITH DEATH

ინგლისურიდან თარგმნა ქეთი ქანთარიაშვილი.
ლექსები თარგმნა დავით ახალაძემ.



Government of the United States

Funded through the Book Translation Program,
U.S. Embassy in Georgia.



დაფინანსებულია საქართველოში აშშ-ის საელჩოს წიგნების
თარგმნის პროგრამის ფარგლებში.

ქართული
წიგნის
აქრონული
სამსახური



საქართველოს კულტურის
და სპორტის მინისტრის
სამსახური

წიგნი გამოიცა ქართული წიგნის ეროვნული
ცენტრის და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა
დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით.

© 1969 by Kurt Vonnegut, Jr.
All rights reserved.

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2015
ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-502-8

www.diogene.ge

ამ წიგნის ავტორი კურტ ვონეგუტი,
გერმანული წარმოშობის მეოთხე
თაობის ამერიკელი, რომელიც ახლა
თავის გემოზე ცხოვრობს კეიპ-კოდზე
(და ძალიან ბევრს ეწევა), ოდესღაც,
ამერიკის ქვეით ჯარში მსახურობისას,
ტყვედ ჩავარდნილი, დრეზდენის –
„ელბის ფლორენციის“ დაბომბვას
შეესწრო, მაგრამ გადარჩა, რომ მერე
ეს ამბავი მოეყოლა.

ეს რომანი, პლანეტა ტრალფამადორის
ამბებისა არ იყოს, ტელეგრაფიულ-
შიზოფრენიული სტილითაა დაწერილი,
იმ ტრალფამადორის, საიდანაც
მფრინავი თეფშები გვსტუმრობენ
ხოლმე.

მშვიდობა ყველას.

ედღენება მერი ო'ჰეირს და გერჰარდ მიულერს

აბლავლდა ძროხა, ხმა გაისმა
სადღაც ნადირის,
გამოაღვიძეს ყრმა იესო,
ის კი არ ტირის.

თითქმის ყველაფერი, რასაც აქ წაიკითხავთ, ნამდვილად მოხდა. ყოველ შემთხვევაში, სადაც ომზე ვწერ, იქ ყველაფერი სიმართლეა. ერთი ჩემი ნაცნობი მართლა მოკლეს დრეზდენში იმის გამო, რომ სხვისი ჩაიდანი აიღო; მეორე მართლა იმუქრებოდა, ომი რომ დამთავრდება, მკვლელს დავიჭირავენ და ყველა ჩემს მტერს მოვაკვლევენ და ასე შემდეგ. ოღონდ სახელები ყველას შევუცვალე.

დრეზდენშიც ნამდვილად დავბრუნდი, 1967 წელს, გუგენჰაიმის ფულით (ვგიჟდები, ისე მომწონს ეს ამბავი). მაშინ იქაურობა ოჰაიოს შტატის ქალაქ დეიტონს ჰგავდა ძალიან. მხოლოდ, დეიტონთან შედარებით, მეტი მოშიშვლებული სივრცე იყო. ადამიანის ძვლები, ალბათ, ტონობით აპოხიერებდა მის მიწას.

ძველ, ომისდროინდელ ძმაკაცთან, ბერნარდ ვ. ო'ჰეირთან ერთად დავბრუნდი, დრეზდენში კი ერთ ტაქსის მძღოლს დავუმეგობრდით, რომელმაც იმ სასაკლავოსთან გაგვიყვანა, ტყვედ ჩავარდნილებს ლამლამობით რომ გვამწყვედევდნენ ხოლმე. გერჰარდ მიულერი ერქვა იმ მძღოლს. გერჰარდმა გვითხრა, ცოტა ხანი მეც გავატარე ამერიკელების ტყვეობაშიო. ვკითხეთ, როგორი იყო კო-

მუნიციპალიტეტში ცხოვრება; თავიდან – საშინელებათა, გვიპასუხა, იმიტომ რომ ყველას დილიდან ღამემდე უწევდა მუშაობა, მაგრამ არც ქერი ჰქონდათ წესიერი თავზე, არც კვება და ტანსაცმელი. ახლა, რა შედარებაა, უკეთესობააო. უკვე სიმპათიური პატარა ბინა ჰქონდა თურმე, მისი ქალიშვილი კი შესანიშნავ განათლებას იღებდა. დედამისი დრეზდენის დაბომბვისას დაინვაო, გვითხრა. ჰოდა ეგრე.

საშობაოდ გერჰარდმა ო'ჰეირს ღია ბარათი გამოუგზავნა, რომელშიც ეწერა:

„ბედნიერ შობას და ახალ წელს გისურვებთ თქვენ და თქვენს ოჯახს, ასევე თქვენს მეგობარს, და იმედი მაქვს, რომ ოდესმე, თუკი მუხთალმა ბედმა იწება, მშვიდობიან და თავისუფალ სამყაროში კიდევ შევხვდებით ერთმანეთს ტაქსიში.“

ეს „თუკი მუხთალმა ბედმა იწება“ განსაკუთრებით მომწონს.

ახლა მეზარება და მძაგს იმის მოყოლა, რა ფული, დრო და ნერვები დამიჯდა ამ ერთი პატარა, საცოდავი წიგნის დაწერა. ოცდაორი წლის წინ, როცა მეორე მსოფლიო ომიდან დავბრუნდი, მეგონა, ბევრი არაფერი უნდოდა იმის მოყოლას, როგორ გაასწორეს მინასთან დრეზდენი, მხოლოდ ის უნდა გადმომეტანა ქალაქში, რაც საკუთარი თვალთ ვნახე. უფრო იმას მოველოდი, რომ შედეგური გამომივიდოდა, ანდა, შედეგური თუ არ იქნებოდა, დიდ ფულს მაინც მომიტანდა, თემა ხომ ძალიან მნიშვნელოვანი იყო.

მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგა და დრეზდენზე წერა დავიწყე, თავში სიტყვები არ მომდიოდა, ყოველ შემთხვევაში, წიგნის დაწერას რომ სჭირდება, იმდენი არა. სიტყვები მაინცდამაინც არც ახლა მყოფნის, როცა ერთ კუანა ბებრად ვიქეცი, რომელსაც არც მოგონებები აკლია, არც ძმაცაცები, შვილებიც კი მოესწრნენ. ახლა ვფიქრობ, თურმე რა უსარგებლო ყოფილა ჩემი მოგონებების ის ნაწილი, რომელიც დრეზდენს უკავშირდება, და მაინც როგორი საცდურია ეს დრეზდენი, როგორ განერივნებს თავის შესახებ. და ერთი ცნობილი ლიმერიკი მახსენდება:

„ერთი სტამბოლელი, მახსოვს,
ემდუროდა თავის ასოს:
დამავსო და დამაქცია,
თან ისეთი ზარმაცია,
არც დგება და აღარც ფსამსო.“

კიდევ ერთი სიმღერა მახსენდება, დაახლოებით ასეთი სიტყვე-
ბია:

„ვარ იონ იონსონი და
მომაქვს უისკონსინიდან
ფიცრად დაჭრილი ხეტყე.
თუკი ქუჩაში შემხვედრმა
ცნობისნადილით შემხედა,
გავუცინებ და ვეტყვი:
„ვარ იონ იონსონი და
მომაქვს უისკონსინიდან...“

და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. დაუსრულებლად.

ბოლო რამდენიმე წელია, ადამიანს რომ გავიცნობ და ჩემი ხე-
ლობის შესახებ შემეკითხება ხოლმე, ვპასუხობ, რომ ძირითადად
წიგნს ვწერ, დრეზდენზე.

ერთხელ ჰარისონ სთარსაც ასე ვუპასუხე, რეჟისორს, რაზეც
მან წარბები აზიდა და ჩემს პასუხში ჩამეძია, „ომის საწინააღმდეგო
წიგნია ალბათ, არა?“

ჰო, ვუპასუხე, ალბათ ეგრეა-მეთქი.

„იცი, რას ვეუბნები ადამიანს, რომელიც ამბობს, რომ ომის
საწინააღმდეგო წიგნს წერს?“

„არა, არ ვიცი. რას ეუბნები ასეთ ადამიანს, ჰარისონ სთარ?“

„რას და, ზვავსაწინააღმდეგო წიგნებს რატომ არავინ წერთ-
მეთქი.“

ანუ, ის იგულისხმა, რასაკვირველია, რომ ომები ყოველთვის იყო და იქნება და, როგორც მომწყდარ ზეავს ვერ შეაჩერებ, ისე მანდაც ვერაფერს გააწყობო. ვეთანხმები, მეც ასე ვფიქრობ.

ზეავივითაც რომ არ იცოდეს ომმა მოვარდნა, სიკვდილს მაინც ვერავინ გაექცევა.

ოდნავ უფრო ახალგაზრდა რომ ვიყავი და უკვე ჩემს ცნობილ დრეზდენის ნიგნზე ვმუშაობდი, ფრონტის ძველ მეგობარს, ბერნარდ ო'ჰეირს შევეუთვალე, რას იტყვი, შენს სანახავად რომ ჩამოვიდე-მეთქი. ბერნარდი ოლქის პროკურორად მუშაობდა პენსილვანიაში. მე კი ერთი კეიპკოდელი მწერალი ვიყავი. ომის წლებში ქვეითი ჯარის დაზვერვაში ვმსახურობდით ერთად. მაშინ ვერც ერთი ვერ წარმოვიდგენდით, რომ ომის მერე ფული გაგვიჩნდებოდა, მაგრამ ისე გამოვიდა, რომ იმ დროისთვის ამ მხრივ უკვე ორივეს არა გვიშავდა რა.

ბერნარდი „ბელის სატელეფონო კომპანიას“ მოვაძებნინე. ამ საქმეში ბადალი არ ჰყავთ. რა ექნა, ჩემი სენია, ღამღამობით მახსენებს ხოლმე თავს – ჯერ სასმლის წრუპვა, მერე კი ტელეფონთან მიჩოჩება და რეკვა დამჩემდა. გავიღეშები ხოლმე და, როგორც კი ჩემი მდოგვის აირისა და ვარდის სურნელწარევი სუნთქვა ჩემს ცოლს ოთახიდან გადევნის, ტელეფონს მივუჯდები და ოპერატორებს ძალიან დარბაისლური ტონით ვთხოვ, ხან ერთ ჩემს მეგობართან დამაკავშირონ და ხან – მეორესთან. თან ისეთებს ვირჩევ ხოლმე, წლების განმავლობაში რომ არ შემხმიანებია.

ო'ჰეირიც ასე გამოვიჭირე. ბერნარდი ჩია კაცია, მე – აწონილი. ომის დროს მატის და ჯეფის დუეტივით ვიყავით. ტყვედაც ერთად ჩავვარდით. რომ დაირეკა, ვუთხარი, ვინც ვიყავი. ვერ ვიტყვი, ჩემი ხმის გაგონება გაუკვირდა-მეთქი. ჯერ ფეხზე იყო, კითხულობდა. მის გარდა ოჯახში ყველას ეძინა.

„მისმინე, – ვუთხარი, – ნიგნს ვწერ დრეზდენზე. რალაც-რალაცების გასახსენებლად დამხმარე მჭირდება. ჩამოვალ შენთან, თუ რამე არ გაქვს საწინააღმდეგო, გნახავ, დავლიოთ, ვილაპარაკოთ, ძველი დრო გავიხსენოთ.“

ჩემს წინადადებას დიდი ენთუზიაზმით არ შეხვედრია. ბევრი აღარაფერი მასხოვსო, მომიგო. თუმცა ეგ ხელს არაფერს უშლის, შენ მაინც ჩამოდიო.

„ნიგნის კულმინაციური მომენტი, ალბათ, საწყალი ედგარ დერბის სიკვდილით დასჯა იქნება, – ვუთხარი, – დიდი ირონიაა ამაში. ამოდენა ქალაქი დედაბუდიანად იწვის, ათობით ათასი ადამიანი იღუპება. და ამ დროს ამერიკელ ქვეითს გერმანელები აპატიმრებენ იმის გამო, რომ ნანგრევებიდან ჩაიდანი წამოიღო. მერე სასამართლო პროცესს უწყობენ და მთელ ოცეულს ახვრეტიანებენ.“

„ჰიმ“, – თქვა ო'ჰეირმა.

„რას იტყვი, განა ეს ამბავი არ უნდა იქცეს კულმინაციად?“

„მაგ საქმისა არაფერი გამეგება, – მითხრა ო'ჰეირმა, – შენი ხელობაა ეგ, ჩემი ხომ არა.“

როგორც კულმინაციური და მძაფრი მომენტების, პერსონაჟების აღწერის, დიალოგების, სასპენსისა და დაპირისპირებების დიდოსტატმა, დრეზდენის ამბავი არაერთხელ მოვხაზე გონებაში. საუკეთესო სქემა, ყოველ შემთხვევაში, ყველაზე კონკრეტად ჩამოყალიბებული, შპალერის ხვეულის უკანა მხარეს მივაჩხაპნე.

ჩემი ქალიშვილის ფერადი ფანქრები ავიღე და თითოეულ პერსონაჟს თავისი ფერი მივაკუთვნე. ამბავი ხვეულის ცალ კიდეში იწყებოდა და მეორეში მთავრდებოდა, ხოლო რაც მათ შორის მოხდა, ხვეულის შუა ნაწილში იყო გამოსახული. ლურჯი ხაზი წითელს ხვდებოდა, მერე ყვითელს, ყვითელი კი მალევე წყდებოდა, რადგან პერსონაჟი, რომელიც ყვითელი ფერით გამოვსახე, იქ კვდებოდა და ასე შემდეგ. დრეზდენის დანგრევა პატარა ნარიჩჯისფერი ჯვრების ოდნავ მორკალული სვეტით იყო გამოსახული, ყველა სხვა ხაზი კი, იმათი სიცოცხლის ამსახველი, შუა ნაწილში ცოცხლები რომ გადარჩნენ, ხვეულს ბოლომდე გასდევდა.

კიდევ, რომელთანაც მერე ყველა ეს ხაზი წყდებოდა, ელბისძირა ჭარხლის მინდორი იყო ჰალეს შემოგარენში. წვიმდა. ომი ევროპაში სულ ორი-სამი კვირის დასრულებული იყო. მწკრივებად ვიდექით,

მცველებად რუსი ჯარისკაცები გვედგნენ – ინგლისელებს, ამერიკელებს, ჰოლანდიელებს, ბელგიელებს, ფრანგებს, კანადელებს, სამხრეთაფრიკელებს, ახალზელანდიელებს, ავსტრალიელებს, სულ ახლახან ტყვეობაგამოვლილ ათასობით სამხედროს.

მინდვრის მეორე ბოლოში კი ათასობით რუსი, პოლონელი, იუგოსლაველი და სხვა ყოფილი ტყვე იდგა, მათ ამერიკელი ჯარისკაცები იცავდნენ. ტყვეებს იქვე, წვიმაში თითო-თითოდ ცვლიდნენ. მე და ო'ჰეირი, სხვა ბევრთან ერთად, ამერიკული სატვირთო მანქანის ძარაზე ავიყვით. ო'ჰეირს ომის სამახსოვრო არაფერი გააჩნდა. დანარჩენს კი, თითქმის ყველას, რაღაც მაინც გამოეყოლებინა ხელისთვის. მე ლუფტვაფეს საცერემონიო ხმალი მქონდა, დღემდე ვინახავ. თავზუნელალებულ პატარა ამერიკელს, რომელსაც ამ წიგნში ალბათ პოლ ლაზაროს დავარქმევ, მთელი კვარტი აღმასები, ზურმუხტები, იაგუნდები და რა აღარ მოჰქონდა. დრეზდენის სარდაფებში ჩახოცილ ადამიანებს აცლიდა. ჰოდა ეგრე.

მოსულელო ინგლისელი, რომელსაც არც ერთი კბილი აღარ შერჩენოდა, თავის სახსოვარს ტილოს ტომსიკაში ინახავდა. მისი ტომსიკა ტერფებს შორის მედო. წამდაუნუმ მის ასაღებად იხრებოდა, შიგ იჭყიტებოდა, თვალებს ქაჩავდა და წვრილ კისერს იგრძელებდა, თვალს მისკენ შეთქმულივით აპარებდა და დანარჩენების ყურადღების მიპყრობას ასე ცდილობდა, მერე ისევ ფეხებთან მიდებდა. ჩემი მზერა რომ დაიჭირა, თვალი მიყო და ტომსიკას პირი მოუხსნა. შიგნით ეიფელის კოშკის თაბამირის ასლი იდო, ერთიანად მოოქრული, შიგ კი საათი ჰქონდა ჩასმული.

გასაგიჟებელი რამეაო, მეუბნებოდა.

მერე თვითმფრინავებით საფრანგეთში, დასასვენებელ ბანაკებში გადაგვაფრინეს, სადაც შოკოლადიანი რძის კოქტეილებს გვასმევდნენ, კარგა მსუყედ გვაჭმევდნენ, სანამ ქონის თხელი ფენა არ დაგვედო. მერე სახლებში გამოგვამგზავრეს და მეც ერთი კარგი კოხტა გოგო შევირთე ცოლად. იმასაც ქონის თხელი ფენა ჰქონდა მოკიდებული.

მერე ბავშვებიც გაგვიჩნდნენ.

ახლა შვილები დაიზარდნენ, მე კი სიგარეტის ბოლსა და მოგონებებში გახვეულ ბებერ კუანად ვიქეცი. იონ იონსონი ვარ, უისკონსინში ვმუშაობ ხეტყის მხერხავად.

ხანდახან, ლამლამობით, წავა თუ არა ჩემი ცოლი დასაძინებლად, ჩემს ძველ მეგობარ გოგობთანაც ვინყებ რეკვას.

„ოპერატორო, მისის ამისა და ამის ტელეფონის ნომერს ხომ ვერ მეტყვიო. წესით, ახლა აქა და აქ უნდა ცხოვრობდეს.“

„ბოდიშს გიხდით, სერ. ასეთი ჩვენს სიებში არავინ ირიცხება.“

„გმადლობთ, ოპერატორო. მაინც დიდი მადლობა.“

მერე ძალღს ვუშვებ სასეირნოდ ან, პირიქით, სეირნობიდან დაბრუნებულს კარს ვუღებ და ცოტ-ცოტას ვლაპარაკობთ ხოლმე. ვაგრძნობინებ, რომ მის მიმართ სიმპათია მაქვს, ისიც მაგრძნობინებს, რომ თვალში მოვუღივარ. თან მდოგვის აირისა და ვარდის სუნის საწინააღმდეგოც არაფერი აქვს.

„კარგი ხარ შენ, სენდი, კარგი, – ვეუბნები ხოლმე ძალღს, – იცი ეგ? ძალიან კარგი ვინმე ხარ.“

ხანდახან რადიოს ვრთავ და ბოსტონის და ნიუ-იორკის ტალღებზე გადაცემებს ვუსმენ. ჩანერილი, მკვდარი მუსიკის ატანა არ მაქვს, როცა ძალიან ნასვამი ვარ.

მერე, ადრე თუ გვიან, მეც მივღივარ დასაძინებლად, ხოლო როცა ჩემი ცოლი მეკითხება ხოლმე, რა დროაო, ვპასუხობ, აზრზე არ ვარ-მეთქი.

ხანდახან იმაზეც დავფიქრდები ხოლმე, რანაირი განათლება მაქვს მიღებული. მეორე მსოფლიო ომი ახალი დამთავრებული იყო, როცა ჩიკაგოს უნივერსიტეტის სტუდენტი გავხდი. ანთროპოლოგიის განყოფილებაზე ვსწავლობდი. იმ დროს ასე გვასწავლიდნენ, ადამიანებს შორის არანაირი განსხვავება არ არსებობს, ყველანი ერთნაირები არიანო. შეიძლება ახლაც ასე ასწავლიან სტუდენტებს.

კიდევ ერთი რამე, რაც მაშინ გვასწავლეს, ის იყო, რომ არც ერთი ადამიანი არ არის ცუდი, სასაცილო ან გულის ამრევი. სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე მამაჩემმა მითხრა: „იცი, რა შევამ-

ჩნით? ჯერ მოთხრობა არ დაგინერია, მასში ვინმე ბოროტი რომ ყოფილიყოს“.

ჰოდა, ვუპასუხე, ეგეც კოლეჯში მასწავლეს ომის მერე-მეთქი.

სანამ ანთროპოლოგიას ვსწავლობდი, კრიმინალური ქრონიკის რეპორტიორადაც ვმუშაობდი ჩიკაგოს ცნობილ საინფორმაციო ბიუროში, კვირაში ოცდარვა დოლარად. ერთხელ ღამის სამუშაოდან პირდაპირ დღისაზე გამაგზავნეს და ისე გამოვიდა, რომ ზედიზედ თექვსმეტი საათი ვიმუშავე. ქალაქის ყველა გაზეთი ჩვენ გვაფინანსებდა, „ესოშიეითიდ პრესიც“, „იუნაითიდ პრესიც“ და ბევრი სხვაც. სასამართლო დარბაზის, პოლიციის განყოფილების, სახანძრო დეპარტამენტის თუ მიჩიგანის ტბის სამაშველო კორპუსის ამბები, ყველაფერი ჩვენ უნდა გაგვეშუქებინა. დანესებულებებს, რომლებიც გვაფინანსებდნენ, პნევმატური მილებით ვუკავშირდებოდით, რომლებიც ჩიკაგოს ქუჩებში იყო გაყვანილი.

რეპორტიორები ყურსასმენმომარჯვებულ ჟურნალისტებს ტელეფონით აწვდიდნენ ცნობებს, ეს ჟურნალისტები კი მიღებულ ამბებს მიმეოგრაფიულ დაფებზე კანრავდნენ. მერე ნაკანრი სპილენძით ივსებოდა და ხავერდის ბუდეებში ინყობოდა, რომლებსაც პნევმატური მილები ყლაპავდნენ. ყველაზე მაგარი რეპორტიორები და ჟურნალისტები ქალები იყვნენ, რომლებმაც საომრად წასული კაცების ადგილები დაიკავეს.

პირველი ამბავი, რომლის გაშუქებაც მომიხდა, სწორედ ერთ-ერთ ასეთ მაგარ ქალს ვუკარნახე ტელეფონით. ამბის გმირი ახალგაზრდა ვეტერანი იყო, რომელიც მრავალლოფისიან შენობაში ძველებური ლიფტის გამართულად მუშაობაზე აგებდა პასუხს. პირველ სართულზე ლიფტს რკინის ორნამენტული, ნაჭედი კარი ფარავდა. გრეხილი სურო მთელ კარს მიუყვებოდა, ტოტზე კი ორი ჩიტი იყო გამოსახული.

ვეტერანს ლიფტით სარდაფში ჩასვლა გადაუნყვეტია, კარი მიუკეტავს და ქვემოთკენ დაუძრავს, მაგრამ ქორწინების ბეჭედი ჭედურ ორნამენტს გამოსდებია. მოკლედ, ისე მოხდა, რომ ვეტე-

რანი ჰაერში გამოკიდებულა, ლიფტის იატაკი ფეხქვეშ გამოსცლია, ჭერს კი გაუსრესია. ჰოდა ეგრე.

სწორედ ამ ამბავს ვუამბობდი ტელეფონით, როცა ქალმა, რომელსაც მონაყოლი უნდა ამოეკანწრა, მისმა ცოლმა რა თქვაო, უცებ მკითხა.

„ცოლმა ჯერ არ იცის, – მივუგე, – ახალი მომხდარია ეს ამბავი.“

„დაურეკეთ და შეატყობინეთ.“

„ბატონო?“

„უთხარით, რომ კაპიტანი ფინი ხართ პოლიციის დეპარტამენტიდან. რომ ცუდი ამბავი გაქვთ მისთვის სათქმელი. მომხდარი აცნობეთ და, რასაც იტყვის, ჩაინერეთ.“

მეც ასე მოვიქეცი. დაახლოებით ის მოვისმინე, რასაც მოველოდი. პატარა ბავშვი ჰყოლიათ, მთელი ამბები.

სამსახურში რომ დავბრუნდი, ტელეფონისტმა ქალმა მკითხა, ისე, ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად, ის გასრესილი კაცი როგორ გამოიყურებოდა გასრესის შემდეგო.

აღვუნერე.

„გაგიჭირდათ შეხედვა?“ – მკითხა. გრძელ, ნუგასავით კანფეტს ჭამდა ამ დროს, „სამ მუშკეტერს“.

„კარგი ერთი რა, ნენსი, – ვუთხარი, – ბევრად უარესებიც მინახავს ომში.“

დრეზდენზე წიგნის დანერა უკვე მაშინ მქონდა ჩაფიქრებული. იმ საჰაერო რეიდის შესახებ მაშინდელ ამერიკაში თითქმის არაფერი სმენოდათ. მაგალითად, არავინ იცოდა, რომ დრეზდენი ჰიროშიმაზე გაცილებით უარესად დაიბომბა. სხვებისა რა ვთქვა, მეც კი არ ვიცოდი. მაინცდამაინც არ გახმაურებულა ეს ამბავი.

ერთხელ ერთ ნვეულეზაზე ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორს ვუამბე ამ რეიდის შესახებ – ის, რისი შემსწრეც თავად შევიქენი, წიგნიც ვუხსენე, რომლის დანერასაც ვაპირებდი. რაღაც გაერთიანების წევრი იყო, „საზოგადოებრივი ცნობიერების კომი-

ტეტი“ თუ ამის მსგავსი ერქვა. პროფესორმა საკონცენტრაციო ბანაკებზე დამიწყო მოყოლა, იმაზე, როგორ ამზადებდნენ გერმანელები საპონს და სანთელს დახოცილი ებრაელების ქონისგან და ასე შემდეგ.

ვიცი, ვიცი, ვიცი-მეთქი, ვუმეორებდი. სხვა რა უნდა მეთქვა.

მეორე მსოფლიო ომმა, რასაკვირველია, კანი ყველას გაგვისქელა. მე ჯერ სკენეკტედიში, ნიუ-იორკის შტატში დავიწყე „ჯენერალ ელექტრიკში“ მუშაობა, საზოგადოებასთან ურთიერთობა მევალებოდა. მერე სოფელ ალპლაუსში, სადაც ჩემი პირველი სახლი ვიყიდე, მოხალისე მეხანძრედ წავიძუშავე. იქ რომ ბოსი მყავდა, ყველაზე მაგარი კაცი იყო ჩემს ნაცნობებს შორის. ბალტიმორის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებაშიც ვიცე-პოლკოვნიკად რჩებოდა. მე რომ სკენეკტედიში ჩავედი, სწორედ მაშინ გახდა ჰოლანდიური რეფორმატორული ეკლესიის მრევლი. მაგარი მკაცრი ეკლესიაა, სხვათა შორის. ირონიული ღიმილით იცოდა ხოლმე კითხვა, რატომ ვერ გავხდი ოფიცერი, თითქოს, ამით რამე დამეშავებინოს.

მე და ჩემს ცოლს ახალმოდებული თხელი ქონის ფენა შემოგვადნა. ცხოვრებაში მჭლე პერიოდი გვედგა. გარშემოც მარტო მჭლე ვეტერანები და მათი მჭლე ცოლები გვეხვივნენ – სკენეკტედის ვეტერანებს შორის ყველაზე სიმპათიური, ალბათ, ყველაზე მხიარული ხალხი, ომი რომ ყველაზე მეტად სძულდათ და თან სხვაზე მეტი რომ იომეს, ისეთები.

მაშინ იყო, საჰაერო ძალების დეპარტამენტს წერილი რომ მივწერე და დრეზდენის საჰაერო რეიდის შესახებ დეტალების მონოდება ვთხოვე: ვინ გასცა დაბომბვის ბრძანება, რამდენი თვითმფრინავი მონაწილეობდა რეიდში, რატომ გააკეთეს ეს, რის მიღწევა სურდათ და ასე შემდეგ. ადამიანი, რომელმაც პასუხი დეპარტამენტის სახელით მომწერა, ჩემსავით საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებაში მუშაობდა. მწერდა, ვწუხვარ, მაგრამ ეს ინფორმაცია ჯერაც გასაიდუმლოებულიაო.

წერილი ჩემს ცოლს ხმამაღლა წავეუკითხე.

„გასაიდუმლოებული? ღმერთო ჩემო, ვისგან ინახავენ საიდუმლოდ?“ – იკითხა.

იმ წლებში ორივე „გაერთიანებული მსოფლიოს ფედერალისტების“ წევრები ვიყავით. ახლა უკვე აღარ ვიცი, ვინ ვართ. ალბათ, მეტელეფონები. სულ ტელეფონზე ვკიდევართ, ყოველ შემთხვევაში, მე ნამდვილად, ლამლამობით.

მას შემდეგ, რაც ჩემს ფრონტის მეგობარს და ძმას, ბერნარდ ო'ჰეირს დავურეკე, რამდენიმე კვირაში მართლა წავედი მის სანახავად. მგონი, 1964 წელი იყო, ასე მახსოვს, მოკლედ, ნიუ-იორკის საერთაშორისო გამოფენის მომდევნო წელი იდგა. *Eheu, fugaces labuntur anni*. იონი ვარ იონსონი. ერთი ახალგაზრდა კაცი ვიყავ სტამბოლიდან.

თან ორი პატარა გოგონა ნავიყვანე, ჩემი ქალიშვილი ნენი და მისი უახლოესი მეგობარი ელისონ მიჩელი. იმ დღემდე კეიპ-კოდს არც ერთი არ გასცილებოდა. მდინარე რომ დავინახეთ, გავჩერდით, რომ ბავშვები ცოტა ხანს მის ნაპირას დამდგარიყვნენ და ფიქრებს მისცემოდნენ. ამსიგრძე, ამსივიწროვე და ასეთი მტკნარი წყალი მანამდე არასდროს ენახათ. მდინარე ჰადსონი იყო. შიგ მსხვილ-მსხვილი ქანარი დაცურავდა, ზემოდან ვხედავდით. იმხელები იყვნენ, ატომურ წყალქვეშა ნავებს ჰგავდნენ.

ვნახეთ ჩანჩქერებიც, კლდიდან დელავერის ველზე გადმოდინარე ზვირთები. უამრავი რამე იყო გზად ისეთი, გაჩერებად და ნახვად რომ ღირდა – მერე კი წასვლის დროც დგებოდა, ისევ და ისევ გზის გაგრძელების დრო. პატარა გოგონებს თეთრი გასაპრანჭი კაბები ეცვათ და შავი გასაპრანჭი ფეხსაცმელი, ამიტომ, ვინც არ უნდა შემოგვხდომოდა გზად, მაშინვე ხვდებოდა, რა კოხტა და ლამაზ გოგონებთან ჰქონდა საქმე. „წასვლის დროა, გოგოებო“, – ერთს გავძახებდი ხოლმე და გზას ვაგრძელებდით.

მერე მზე ჩავიდა, იტალიურ რესტორანში ვივახშმეთ, ბოლოს კი, როგორც იქნა, ბერნარდ ვ. ო'ჰეირის მშვენიერი ქვის სახლის

კარზეც დავაკაკუნე. ხელში ირლანდიური ვისკის ბოთლი ისე მეჭირა, როგორც სადილად მოსახმობი ზარი.

იმ დღეს გავიცანი მისი სიმპათიური ცოლი მერი, რომელსაც ამ ნიგნს ვუძღვნი. გერჰარდ მიულერსაც ვუძღვნი – დრეზდენელ ტაქსის მძღოლს. მერი ო’ჰეირი მაღალი კვალიფიკაციის მქონე ექთანია, რაც ქალისთვის არაჩვეულებრივ საქმიანობად მიმაჩნია.

ჩემი მიყვანილი ორი პატარა გოგო მერიმ სულში ჩაიძვრინა, თავის ბავშვებს გააცნო და ზედა სართულზე სათამაშოდ და ტელევიზორის საყურებლად წაასხა. როცა ოთახიდან ბავშვები გავიდნენ, მერელა ვიგრძენი, რომ მერის თვალში არ მოვუყვები; ყოველ შემთხვევაში, იმაში, რაც იმ სალამოს ხდებოდა, რალაც ძალიან არ მოსწონდა. თავაზიანად მეპყრობოდა, მაგრამ მისი სიცივე მსუსხავდა.

„მშვენიერი მყუდრო სახლი გქონიათ“, – ვთქვი და მართლაც ასე იყო.

„ადგილი გაგიმზადეთ, სადაც საუბარში ხელს არავინ შეგიშლით“, – თქვა მერიმ.

ძალიან კარგი-მეთქი, ვუთხარი და ბუხართან მიჩოჩებული ორი ტყავის სავარძელი წარმომიდგა თვალწინ, კედლებზე ხის პანელგაყოლებულ ოთახში, სადაც ორი ნახიშტარი მეგობარი სასმელს მოწრუპავდა და გემოზე იმუსაიფებდა, მაგრამ მერი სამზარეულოსკენ გაგვიძღვა. თეთრი, კერამიკისზედაპირიანი სამზარეულოს მაგიდისთვის ორი სწორზურგა სკამი შემოუნყო. კერამიკა მის თავზე ანთებული ორასვატიანი ნათურის შუქს ირეკლავდა და თვალისმომჭრელად ლაპლაპებდა. მერის ჩვენთვის საოპერაციო ოთახი მოემზადებინა. მაგიდაზე მხოლოდ ერთი ჭიქა იდგა. მერიმ მითხრა, რომ ო’ჰეირი ომის მერე მაგარ სასმელს ველარ იტანდა.

მოკლედ, დავსხედით. ო’ჰეირი დაბნეული ჩანდა, მაგრამ არ უთქვამს, რაში იყო საქმე. ვერაფრით ამეხსნა, რით შემეძლო მერის ასე გაღიზიანება. ოჯახის კაცი ვიყავი. ერთადერთხელ ნაქორწინები. არ ვლოთობდი. მისი ქმრისთვის ომში უკადრისი არაფერი გამი-

კეთებია. „კოკა-კოლა“ დაისხა და უჟანგავი ფოლადის ნიჟარაში ყინულის კუბები ჩხრიალით ჩააპირქვავა. მერე სახლის სხვა ნაწილში გავიდა, მაგრამ წყნარად არც იქ მჯდარა. მთელ სახლში დაქროდა, კარებს ხმაურით ალებდა და ხურავდა, ავეჯის გადაადგილებაც კი დაინყო, რომ ბრაზი რამეზე გადმოენთხია.

ო'ჰეირს ვკითხე, ისეთი რა ვთქვი ან რა გავაკეთე, რომ მისი ასეთი წყრომა დავიმსახურე-მეთქი.

„არაფერი, არაფერი, – მიპასუხა ო'ჰეირმა, – მაგაზე ნუ ნუხხარ. შენ არაფერ შუაში ხარ“. – კარგად კი მიპასუხა, მაგრამ იტყუებოდა. ძალიანაც შუაში ვიყავი.

მოკლედ, ძალიან ვეცადეთ, მერისთვის ყურადღება არ მიგვექცია და ომისდროინდელი ამბები გაგვეხსენებინა. ჩემი მოტანილი ბოთლიდან ორი ქვასავით ყლუპი მოვსვი, ყელში არ გადამდიოდა. შიგადაშიგ ვითომ გვეცინებოდა, რალაცაზე გავიღმიჭებოდით, თითქოს ვიცოცხლებდით ომის მოგონებებს, მაგრამ წესიერად ვერც ერთმა ვერაფერი გავიხსენეთ. ო'ჰეირმა ერთი ბიჭი ახსენა, დრეზდენის დაბომბვამ რომელიღაც სახლის მარანში უნია, იქიდან საზიდრით წამოვიყვანეთ. ამაზე წიგნს ნამდვილად ვერ დანერ. მე ორი რუსი ჯარისკაცი გავიხსენე, რომლებმაც საათების ფაბრიკა გაძარცვეს. ცხენშებმული ფურგონი იმ საათებით დაეტვირთათ და შინ მიჰქონდათ. ბედნიერები და მთვრალეები იყვნენ. უზარმაზარ სიგარეტებს ენეოდნენ, თუთუნი გაზეთის ნაგლეჯებში გაეხვიათ.

სულ ეს იყო, რაც გავიხსენეთ, მერი კი ჯერაც ბობოქრობდა. ბოლოს კიდეც ერთი ჭიქა „კოკა-კოლის“ დასასხმელად სამზარეულოში შემოვიდა. გამოიღო მაცივრიდან ყინულის კიდეც ერთი ფილა, ჩააჩხრიალა ისევ ნიჟარაში, არადა, ყინული უამისოდაც ბევრი გვექონდა.

მერე მე მომიბრუნდა, დამანახვა, როგორი გაავებული იყო და რომ ამ გაავების მიზეზი მე ვიყავი. მანამდე, როგორც ჩანს, თავის თავს ელაპარაკებოდა და რაც ხმამაღლა თქვა, უფრო დიდი და სერიოზული ტირადის ნაწილი იყო. „თქვენ ხომ მაშინ ჯერ სულ ბავშვები იყავით!“ – თქვა მერიმ.

„ბატონო?“ – ვკითხე.

„ომის დროს ხომ ბავშვები იყავით – ჩვენი შვილებისხელა, აი, ახლა ზემოთ რომ არიან, თითქმის იმათხელები!“

თავი დავუქნიე, იმიტომ რომ სიმართლეს ამბობდა. გამოუცდელი, ცხოვრების უნახავი ბიჭები ვიყავით, ბავშვობას ახალგამოცდილებულები.

„მაგრამ ამას თქვენს წიგნში არ დანერტ, ხომ მართალი ვარ?“ – ეს კითხვა არ ყოფილა. ბრალდება იყო.

„ჯერ... ჯერ არ ვიცი“, – მივუგე.

„ჰოდა, მე ვიცი, – თქვა მერიმ, – ისე გამოიყვანთ, ვითომ ბავშვები კი არა, კაცები იყავით, თქვენს როლებს ფილმებში ფრენკ სინატრა და ჯონ უეინი ითამაშებენ, მერე ვილაც გაზულუქებული, ომისმოყვარე, გახრწნილი ბებრები აიტაცებენ თქვენს ამბავს. ომს არაჩვეულებრივ რამედ წარმოადგენენ ხოლმე, ასე ომებს ბოლო არასდროს მოელება. საომრად კი ისეთ პატარა ბავშვებს გაუშვებენ, ზემოთ რომ ითამაშებენ.“

აი აქ კი გამინათდა გონება. ამ ჩემმა ომის ამბავმა გააბრაზა ასე ძალიან. მერის არ უნდოდა, რომ ომებში მისი ან თუნდაც სხვისი შვილები დაეხოცათ.

არც ვაციე, არც ვაცხელე, მარჯვენა ხელი ავწიე და ფიცი დავდე. „მერი, – ვუთხარი, – არა მგონია, ამ წიგნს ოდესმე დამთავრება ეწეროს. დღეისთვის ბარე ხუთი ათასი გვერდი მაინც მექნება დაწერილი და მერე ნაგავში მოსროლილი. მაგრამ ერთ რამეს გეტყვით: თუ ოდესმე მაინც მოვახერხე მისი დასრულება, სინდისს ვფიცავ, ფრენკ სინატრასთვის ან ჯონ უეინისთვის ჩემს ნაამბობში როლი არ იქნება“.

„კიდევ ერთ რამეს გეტყვით, – ვუთხარი, – წიგნს „ბავშვების ჯვაროსნულ ლაშქრობას დავარქმევ.“

ეს იყო და ეს. ამის შემდეგ მერი დამიმეგობრდა.

მე და ო'ჰეირმა ჩვენს მოგონებებს თავი ვანებეთ, სასტუმრო ოთახში გავედით და სულ სხვა რამეებზე ვილაპარაკეთ. ბავშვების ჯვაროსნულმა ლაშქრობამ დაგვანტერესა – იმან, რაც სინამდვილეში მოხდა. ჰოდა, ო'ჰეირმა თავის წიგნებში „სიბეცით გამორჩეული ხალხური წარმოდგენები და ბრბოთა შეშლილობა“ იპოვა, ფილოსოფიის დოქტორ ჩარლზ მაკკეის ნაშრომი, რომელიც 1841 წელს ლონდონში იყო გამოცემული.

მაკკეი ყველა ჯვაროსნულ ომს უგუნურებად თვლიდა. ბავშვების ჯვაროსნულ ლაშქრობაზე კი ოდნავ უფრო მეტი ამრეზით წერდა, ვიდრე ზრდასრულთა წინა ათ გალაშქრებაზე. ო'ჰეირმა ერთი მშვენიერი ამონარიდი წამიკითხა ხმამაღლა:

„ისტორიის მიჩქმალული გვერდები ცხადყოფს, რომ ჯვაროსნები ერთი უფიცი და უბირი ხალხი იყო, რომ ბრმა ფანატიზმი ამოძრავებდათ და მათი გზა სისხლისა და ცრემლის გზა იყო. მეორე მხრივ, ისტორიის რომანტიკული ხედვა მათ ზნეკეთილობასა და გამირულ თავდადებას მიაწერს, მგზნებარებით, ელვარე ფერებით სახავს მათ სიქველეს და სიღიადეს, უჭკნობ დიდებასა და ქრისტიანობისთვის განეულ უდიდეს სამსახურს.“

მერე კი ო'ჰეირმა ეს ნაწყვეტი წამიკითხა: „ახლა ვნახოთ, ჰქონდა თუ არა ამ ბრძოლებს აზრი ან შედეგი. ევროპამ ხაზინებიდან მილიონები დახარჯა, რომ ეს ომები ეწარმოებინა, და მათ ორი მილიონი ადამიანის სიცოცხლე შესწირა; ამის სანაცვლოდ კი, სისხლმოჭარბებული რაინდების ერთი პატარა ჯგუფი პალესტინას მხოლოდ ასიოდე წლით დაეპატრონა!“

მაკკეი წერდა, რომ ბავშვების ჯვაროსნული ლაშქრობა 1213 წელს დაიწყო, როცა ორ ბერმონაზონს აზრად მოუვიდა, გერმანიასა და საფრანგეთში ყრმათა ჯარი შეკრებილიყო, რომელსაც აფრიკის ჩრდილოეთში მონებად გაყიდდნენ. ოცდაათი ათასმა ბავშვმა ისურვა მოხალისეობა, რადგან ეგონათ, რომ პალესტინაში გზავნიდნენ. თითქმის დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ესენი სულ უმეთვალყურეო, უსაქმო და უქონელი ბავშვები იყვნენ, რომლებითაც სავსეა ხოლმე დიდი ქალაქები; უკეთურების და ძალმომ-